მერი თორღვაიძე

კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვანი
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა
სოფიას ტექნიკური უნივერსიტეტი, ბულგარეთი

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ყოველთვის იყო ჩემი ოცნება და როცა კავკასიის უნივერსიტეტმა Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა მომცა, ვიცოდი, რომ წინ მნიშვნელოვანი და საინტერესო სემესტრი მელოდა.

გასული სემესტრი სოფიას ტექნიკურ უნივერსიტეტში გავატარე, სადაც განსხვავებული საგანმანათლებლო სისტემა დამეხმარა პროფესიულ განვითარებაში და ახალი უნარების შეძენაში. აქ გავლილმა სხვადასხვა კურსმა დამანახა ჩემი პროფესიის ახალი მხარეები და დამეხმარა ცოდნის გაღრმავებაში.

ეს პერიოდი იყო არა მხოლოდ ახალი აკადემიური გამოცდილება, არამედ გამოწვევებით სავსე ეტაპი ჩემს ცხობრებაში. უცხო ქვეყანაში სწავლამ მასწავლა დამოუკიდებლობა, ახალ გარემოსთან ადაპტირება და დამარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში. ამ პერიოდის განმავლობაში გავიცანი სხვადასხვა ეროვნების სტუდენტი, რომლებთან ერთადაც შევქმენი დაუვიწყარი მოგონებები და მივიღე სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობა. მათი დახმარებით გავეცანი სხვადასხვა კულტურას, რამაც გააფართოვა ჩემი თვალსაწიერი.

რა თქმა უნდა, სემესტრს გამოწვევების გარეშე არ ჩაუვლია – ახალი ცხოვრების წესთან შეგუება და კომფორტის ზონიდან გამოსვლა რთული იყო, მაგრამ სწორედ ამიტომ გახდა ეს პერიოდი კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი.

Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობამ მომცა უნარები და ცოდნა, რომელიც, მჯერა, ჩემი კარიერული განვითარების გზაზე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. ამ გამოცდილებამ დამანახა, რომ განსხვავებულ გარემოში მოხვედრა საუკეთესო გზაა საკუთარი შესაძლებლობების გასაცნობად. ეს სემესტრი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში, რისთვისაც მადლობელი ვარ როგორც კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე სოფიას ტექნიკური უნივერსიტეტის.